საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაცხის ტაძარი

კაცხის ტაძარი, X–XI სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში. აღმართულია სოფლის ცენტრში. სამხრ.-დას. შესასვლელის ტიმპანის წარწერის მიხედვით იგი 1010–14 დაასრულეს. ტაძარი დიდი, შიგნიდან ექვსაფსიდიანი მრავალწახნაგა გუმბათოვანი ნაგებობაა. გარედან, სამი მხრიდან, აკრავს გარშემოსასვლელი, რ-იც დაახლ. 30 წლის შემდეგ მიუშენებიათ. მთელი ნაგებობა შედგება საფეხურებად განლაგებული სამი კონცენტრული, წახნაგოვანი მოცულობისაგან – გარსშემოსავლელის, საკუთრივ ტაძრის კორპუსისა და გუმბათის ყელისაგან. ყოველი წახნაგი დასრულებულია ფრონტონით, რის გამოც იქმნება ტეხილი, ხერხისებრი ლავგარდანი. ტაძრის შიგნით, ცენტრ. გუმბათქვეშა ფართობის ირგვლივ, რადიალურადაა განლაგებული აფსიდები. ხუთი მათგანი უბემოა და უშუალოდ ერთვის - ცენტრ. სივრცეს. აღმ. აფსიდის წინ ბემაა. ამგვარად, ეს მხარე რამდენადმე წაგრძელებულია და გარედან ხუთწახნაგა შვერილს ქმნის. შესასვლელი სამია: დას., სამხრ.-დას. და ჩრდ.-დას-ისა. ექვსწახნაგიდან გუმბათის ყელზე გადასვლა ხორციელდება ბრტყელი ტრომპების ორი რიგით. საკურთხეველი ერთი საფეხურითაა შემაღლებული. იატაკი თლილი ქვის ფილებითაა მოფენილი. ეკლესია შიგნით სადაა, თითქმის ყოველგვარი მორთულობის გარეშე. გარედან შემოსილია სუფთად გათლილი მოყვითალო კირქვით.

ტაძარს გარს აკრავს ხუთკუთხა გალავანი (აღადგინეს 1937). მის ჩრდ.-დას. კუთხეში დგას ძვ. სამრეკლო, რ-იც კარიბჭის ფუნქციასაც ასრულებდა. შენობა მდიდრულად იყო მოჩუქურთმებული. XIX ს. რესტავრაცია-შეკეთების შემდეგ ეკლესიის კორპუსის მთელი ზემო ნაწილი და გუმბათის ყელის გარე პერანგი მთლიანად განახლებულია. თავდაპირველი მორთულობიდან გადარჩა მხოლოდ გარშემოსავლელის მდიდარი საპირეები და კარნიზი, აგრეთვე საკუთრივ ტაძრის კორპუსის შესასვლელთა მორთულობა.

გარშემოსავლელის აღმ. სადგომში შემორჩენილია ქართ. პლასტ. ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში – რელიეფური ქანდაკება – ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სიმბოლური სცენა, რ-იც მოჩუქურთმებულ მრგვალ ჩარჩოშია ჩასმული. როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, აქ ადრე მონასტერი იყო, რ-მაც XIX ს-მდე იარსება. კ. ტ-ს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი – XI ს. წყაროებში მას სამებას უწოდებენ, ხოლო XVI–XVIII სს-ში – მაცხოვრის ტაძარს. 2016 ეკლესიასა და სამონასტრო კომპლექსში ჩატარდა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (არქიტ. მ. გელაშვილი). სოფლის მახლობლად მდებარეობს კაცხის სვეტი.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., კაცხის ტაძარი, «ქართული ხელოვნება», ტ. 3, თბ., 1950; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; საქართველოს სულიერი საგანძური, წგ. 1. კაცხი, თბ., 2005; ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1995.